THE FAMILY OF CHARMAULI OF THE XVII CENTURY, THEIR ACTIVITIES AND THE HEREDITARY LINE OF DAVID CHARMAULI (1602-1626) - ACCORDING TO HISTORICAL DOCUMENTS

XVII საუკუნის ჭარმაულები, მათი მოღვაწეობა და დავით ჭარმაულის (1602-1626 წწ.) მემკვიდრეობითი ხაზი - ისტორიული დოკუმენტების მიხედვით[1]

OTAR ZHIZHIASHVILI

PHD student of the University of the Patriarchate of
Georgia named after Saint Andrew the First
Chavchavadze Avenue #53a; Tbilisi Georgia
Science-collaborator of the National Center of Manuscripts of Georgia
Georgia, +995598728692, otari_zhizhiashvili@mail.ru
https://orcid.org/0000-0003-1590-2851

Abstract. The issue presented in the form of an article is mainly one of the important sections of the research topic of the Charmauli feudal house of the 13th-18th centuries. It concerns individuals active in the 17th century who were important and interesting representatives of this family. We would also like to note that in 2022 and 2023, two articles on the above-mentioned topic were published in the internationally refereed journal "History, Archaeology, Ethnology" of the LEPL Gori State Teaching University, issues N-8 and N-9; **I.** Official positions of the Charmauli family; **II.** A brief overview of the Charmauli family and the village of Lausha, granted to Grigol Charmauli by David VIII (1293-1311). For publication of these articles I would like to thank the editors. These publications, based on historical documents, describe their relationship with kings and Catholicos, as well as their connection with the Aragvi Valley based on the estates they owned and their official positions.

The current scientific research, based on historical documents, only discusses the family of Charmaulis of the 17th century, which attract attention due to their life and activities. Our goal in the research was to determine, based on sources, the hereditary, or genealogical line, as well as the issue of ownership of property and official positions based on the principle of seniority in the family, which was interesting in medieval feudal Georgia.The first representative in the 17th century was David, whose time of activity, according to historical documents, is 1602-1626, and he is mentioned in only two documents. Then there is his son Paata, whom we have assigned first in the numbering, because there is also the second Paata in the second half of this century. Paata I has two sons, Iase and Iovane. Iase has Paata II and Onana, and Iovane's son is Zakaria. We have established their hereditary connection from the documents we have in our possession.

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-22 -18207 ,,ხადას ხეობა“ -უცნობი სულიერი და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინტერდისციპლინირებული კვლევა)

Key words: David Charmauli, Zakaria Charmauli, Agaian, Aragvi Principality, Mouravi, Merikifetukhutes.

ოთარ ჟიჟიაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტის დოქტორანტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი #53ა; თბილისი, საქართველო,
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
+995598728692, otari_zhizhiashvili@mail.ru
https://orcid.org/0000-0003-1590-2851

აბსტრაქტი. საკითხი, რომელიც სტატიის სახითაა წარმოდგენილი, ძირითადად არის - ჭარმაულთა ფეოდალური სახლის XIII-XVIII საუკუნეების საკვლევი თემიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი. იგი ეხება XVII საუკუნეში მოღვაწე პირებს, რომლებიც ამ საგვარეულოს მნიშვნელოვანი და საინტერესო წარმომადგენლები იყვნენ. აქვე ავღნიშნავთ იმასაც, რომ 2022 და 2023 წლებში სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად რეიტინგულ ჟურნალში ,,ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“ N-8 და N-9- ში ზემოთ დასახელებულ თემიდან დაიბეჭდა ორი სტატია; **I**. ჭარმაულთა გვარის მოხელე პირების სამოხელეო თანამდებობები და **II**. ჭარმაულთა გვარის მოკლე მიმოხილვა და დავით VIII-ის (1293-1311 წწ.), მიერ გრიგოლ ჭარმაულისთვის ნაწყალობევი სოფელი ლაუშა, რაზეც რედაქციას მადლობას მოვახსენებ. ამ პუბლიკაციებში ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გადმოცემულია მათი ურთიერთობა მეფეებთან, კათალიკოსებთან, ასევე კავშირი არგვის ხეობასთან სამფლობელო მამულების, სამოხელეო თანამდებობების მიხედვით.

ახლანდელ სამეცნიერო კვლევაში საისტორიო დოკუმენტებზე დაყრდნობით განხილულია მხოლოდ XVII საუკუნეში არსებული ჭარმაულები, რომელებიც თავიანთი საქმიანობის და მოღვაწეობის მხრივ ყურადღებას იქცევენ. კვლევისას ჩვენი მიზანი იყო წყაროებზე დაყრდნობით დაგვედგინა მემკვიდრეობითი, ანუ გენიალოგიური ხაზი, ასევე გვარში უფროსობის პრინციპით ქონების და სამოხელეო თანამდებობების მფლობელობის საკითხი, რაც შუა საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში საინტერესო იყო. XVII საუკუნეში პირველი წარმომადგენელი დავითია, რომლის მოღვაწეობის დროც ისტორიული დოკუმენტების მიხედვით 1602-1626 წლებია და ის მხოლოდ ორ საბუთში იხსენიება. შემდეგ მისი შვილია პაატაა, რომელსაც ნუმერაციით პირველი მივანიჭეთ, რადგან ამ საუკუნის მეორე ნახევარში მეორე პაატაცაა. პაატა I -ს ჰყავს ორი შვილი იასე და იოვანე. იასეს კი პაატა II და ონანა ჰყავს, ხოლო იოვანეს შვილი ზაქარიაა. შესაბამისად, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან, მათი მემკვიდრეობითი კავშირი დავადგინეთ.

საკვანძო სიტყვები. დავით ჭარმაული, არაგვის საერისთავო, სოფელი აღაიანი, მოურავი, მერიქიფეთუხუცესი.

შესავალი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესაწავლილი ისეთი გვარის მნიშვნელობა და ისტორია, როგორიცაა ჭარმაულთა ფეოდალური სახლი. საქართველოს

პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ გვარის წარმომადგელების მოღვაწეობა XIII საუკუნიდან იწყება და XVIII საუკუნეში სრულდება. მთელი ამ დროის განმავლობაში საკმაოდ აქტიურად ჩართულნი იყვნენ, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე საეკლესიო საქმეებშიც. მათ, მეფეები და საეკლესიო მოღვაწეები საკმაოდ წყალობდნენ და აძლევდნენ სიგელ-წიგნებს დაწინაურების, თუ ქონების გადაცემასთან დაკავშირებით. ჭარმაულთა გვარის წარმომადგენლებს სამფლობელოები ძირითადად ჰქონდათ არაგვის ხეობაში, მცირედ კახეთის და შიდა ქართლის ტერიტორაზე. სარგებლობდნენ საეკლესიო პირებთან დაახლოებით და მათგანვე მიღებული თანამდებობების, თუ ქონების დამტკიცებით. ამ გვარს ჰქონდა საეკლესიო აზნაურობის წოდებაც, რაც ფეოდალურ საქართველოში ერთ-ერთი საპატიო და გავლენიანი ინსტიტუტს წარმოადგენდა. ისინი ეკუთვნოდნენ ისეთ მსხვილ ინსტიტუტს, როგორიც იყო ,,მცხეთიშვილობა", ,,მცხეთიშვილი" (ჟიჟიაშვილი, 2023: 193-194).

ჭარმაულთა ფეოდალური გვარის მოხსენიება ისტორიული დოკუმენტების მიხედვით პირველად XIII საუკუნეში გვხვდება და XVIII საუკუნის 70 -იან წლებში წყდება. მთელი ამ დროის განმავლობაში მათი სახელმწიფო, საეკლესიო საქმიანობაში მონაწილეობა საინტერესოა და საბუთებზე დაყრდნობით მნიშვნელოვან იფორმაციას იძლევა. მათ ჰქონდათ თანამდებობები, სამკვიდრო და სხვადასხვა დროს რიგი დამსახურებების სანაცვლოდ მიცმული მამულები ქართლში, ქსნის და არაგვის ხეობებში. წინა გამოცემულ სტატიაშიც ავღნიშნეთ, რომ არაგვის საერისთავოში შაბურიშვილების ერისთავობის დროს ფეხი უფრო მოიკიდეს და შემდეგ მათი ერისთავობიდან ჩამოცილებისას თვითონ დაიკავეს ეს თანამდებობა (ჟიჟიაშვილი, 2023: 194). XVI საუკუნის 70-იან წლებში კი ჭარმაულებს სიდამონის ძემ ნუგზარმა და მისმა წინაპრებმა წაართვეს, რაზეც ვახუშტი ბატონიშვილი წერს; ,,ხოლო ესე ნუგზარ იყო ერისთავი არაგჳსა, რამეთუ პაპა ამისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სჳიმონისასა უკუდგა ვანათის ციხის მპყრობელი და მან ბძანებითა მეფისათა და შეტყუვებითა აღიღო ციხე იგი, და მეფემან მიანიჭნა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შეიპყრეს ყიზილბაშთა მეფე სჳმონ, ამანვე მოიმწო კსნის ერისთავი, დაესხა და მოსწყჳდნა თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიპყრა ბაზალეთი. მოკუდა იგი და ხარჭისა ნაშობმან ძემან მისმან მოსრანა ძმანი თჳსნი ყოველნი, და ესე ნუგზარ ძმისწული ამისი წარიტაცეს ყრმა. შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ კაცნი და მოჰკლეს იგი. და დაიპყრა ნუგზარ ბაზალეთი, მერმე დაიმორჩილა მთიულეთი. ხოლო მოვიდა სჳმონ, მისცა პაპასავე ნუგზარისასა მსახურებისათჳის მისისა და იყვნენ ჟამამდე ერისთავად" (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 424). ამ მეტად მნიშვნელოვანი თანამდებობის და გავლენის დაკარგვის შემდეგ ეს გვარი არ გამქრალა, პირიქით ისინი ფლობენ მამულებს და კათალიკოსებისგან წყალობებს იღებენ სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობების შესახებაც.

ამ გვარის მოღვაწეთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანი კვლევა არ არსებოს, ამიტომაც ჩვენი სურვილია მათი მოღვაწეობის შესახებ მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაციის წარმოჩინება.

XVII საუკუნის დასაწყისში დოკუმენტებით ჩანს დავით ჭარმაული, რომელსაც 1602 წელს დომენტი კათალიკოსმა გიორგი X-ის ნებართვით სოფელ გოგილაანში 4 კომლი და ,,სახასო" მიწის ნაწილი უბოძა. როცა მეფისგან სამეფო მიწა გაიცემა კათალიკოსის მონაწილეობით ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქონების მიმღები სამეფო სახლისთვის მეტად მნიშვნელოვანი და დამსახურებული პიროვნებაა. ასევე ცნობილია, რომ ჩვენგან დადგენილმა დავითის შვილმა პაატა I-მა ზაქარაია კათალიკოსისაგან 1628 წელს სოფელ გრემისხევში ორი კომლი მიიღო. ჭარმაულთა გვარის ყოველი შემდეგი წარმომადგენელი ახალი კათალიკოსისაგან ღებულობდა მამულს ყმებით, ან ცალ-ცალკე, რაც კიდევ ერთხელ ამ

საგვარეულოს ერთგულებასა და მსახურობაზე მიუთითებს. ამავე საუკუნეში მათი წარმომადგენლები მოურავებადაც იხსენიებიან. ამ მხრივ საინტერესოა პაატას მეორე შვილი იოვანე, რომელიც მოურავად არის მოხსენიებული და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის იყო სოფელ აღაიანის ხელმძღვანელი, რადგან მოგვიანებით ამ თანამდებობას მისი შვილი ზაქარია ატარებს და მასზე გაცემულ დოკუმენტში ის აღაიანის მოურავადაა მოხსენიებული. გამოდის, რომ როცა გვარში ჭარმაულთა პირველი პირი გარდაიცვლებოდა მის ადგილს იკავებდა ასაკით უფროსი, რომელიმე სხვა პირი და ეს შესაძლებელია ყოფილიყო შვილი, ან გარდაცვლილის მომდევნო ძმა, რომელსაც ეკისრებოდა ოჯახის უფროსობა და შესაბამისად მის ხელში გადადიოდა ქონების გარკვეული ნაწილი და რაც მთავარია მაღალი სამოხელეო თანამდებობა - მოურავი. სწორედ ასეა, როცა გვარში უფროსი ჭარმაული ძმები იასე და იოვანე გარდაიცვალნენ მათ შვილს შორის უფროსი იყო ზაქარია იოვანეს ძე და 1675 წელს დომენტი III-მ, მათ შორის გაყრილობის წიგნი ქონების და თანამდებობის შესახებ გასცა, რომლის მიხედვითაც აღაიანის მოურაობა ზაქარიას არგუნა. ეს აიხსნება იმით, რომ ის იმ დროს არის გვარის უფროსი და მას ეკუთვნის ქონების დიდი ნაწილი და რაც მთავარია მემკვიდრეობით გადასაცემი თანამდებობა -აღაიანის მოურაობა. ყველაფერ ამაზე ჩვენი სამეცნიერო კვლევა ეყრდნობა იმ დოკუმენტებს და იქ მოცემულ ინფორმაციას, რომლებზედაც დაყრდნობით ქვემოთ ტექსტში გვაქვს მსჯელობა.

მეთოდი. წარმოდგენილი სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: შედარებით ისტორიულ მეთოდი, მიზეზობრ-შედარებითი, ემპირიული და სისტემური ანალიზი.

შედეგები. ზემოთ, როგორც აღვნიშნეთ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჭარმაულთა გვარიის ისტორია, არის ერთ-ერთი შეუსწავლელი და ჩვენი მიზანია ამ საკითხის კვლევა-ძიება, გაცნობა სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ამ ეტაპზე, სტატიის სახით წარმოვადგენთ XVII საუკუნეში მყოფი ჭარმაულთა გვარის რამდენიმე ისტორიული პირის მოღვაწეობას საისტორიო დოკუმენტებზე დაყრდნობით, რაც მნიშვნელოვანია. ასევე შევეცადეთ ამ საბუთებიდან დაგვედგინა მათ შორის მემკვიდრეობითი ხაზი, ანუ გენიალოგიური თანმიმდევრობა. ასევე დავადგინეთ მემკვიდრეობით და დამსახურებით მათთვის გადაცემული მამულები, თანამდებობები, როგორიც იყო მაგალითად აღაიანის მოურაობა.

დისკუსია. XVII საუკინეში ჭარმაულთა გვარიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი პირი იკვეთება, რომელთა არსებობასაც ისტორიული საბუთებიდან ვგებულობთ. საუკუნის დასაწყისში, ამ ფეოდალური გვარის წარმომადგენელია დავითი, რომლის შესახებაც საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მხოლოდ ორი დოკუმენტი მოგვეპოვება. პირველით დგინდება, რომ 1602 წელს, მას ქართლის მეფის გიორგი X-ის (1600-1606 წწ.) თანხმობით დომენტი კათალიკოსმა გოგილ[ან]ში უწყალობა ოთხი კომლი და სახასო, ანუ სამეფო მიწიდან ორი წილი, რაც ასეა გადმოცემული; ,,ქ(ორონი)კ(ონ)სა :ჟს: გიორგი მეფე და ალექსანდრე მეფე კახთა ერევანს მოდგომილს შაჰაბაზთან მოვიდნენ.

-ქ(ორონი)კ(ონ)სა :სჟ: ,,ქ ჩვენ...ყოვლისა საქართველოსა მამად მთავართა მთავარმან ქართლისა კზ˜მან პ[ატრონმან] დო[მ]ენტ[ი] ესე... სიგელი გიბოძეთ შენ **ჭარმაულსა დავითს...** მას ჟამსა, ოდესცა კითხულითა(?) მეფისა პატრონისა **გიორგისითა** მოგიბოძეთ **გოგილაში ოთხი კვამლი კაცი...** რისაც ოდენ მამულისა მქონებელნი იყუნეს... და რაც ჩუენი სახასო მიწა იყო ისი ორი წილი თქუენ გიბოძეთ... დაიწერა ქ(ორონი)კ(ონ)სა :სჟ: (ბეჭედი: ასომთავრული წარწერით :რომელი განჴსნათ ქუეყანასა ზ(ედ)ა ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა). ამავე სიგელს

აწერია: ,,... ბატონის მამის ჩუენის ნება დართულობით ქკ῀ზის ბატონის დომენტისაგან ნაბოძები... აწ ჩუენ... მეფეთ მეფემან პატრონმან **ლუარსაბ**... გიბოძეთ... ქ(ორონი)კ(ონ)ს :სჟჲ . (1610 წ. ხელჩართულად : ,,ლუარსაბ“. - გედევანიანთ გუჯარი). (დოკუმენტი 1. ჟორდანია, 1897: 432;). მოგვიანებით, 1610 წელს ქართლის მეფე ლუარსაბ II (1606-1614 წწ.) დავითს ამავე საბუთს უმტკიცებს და იგივეს, რაც ზემოთ არის მოცემული უცვლელად უტოვებს.

ამ პატარა დოკუმენტიდანაც კიდევ ერთხელ მტკიცდება, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა კათალიკოსს და მეფეებს ჭარმაულთა გვარის სხვადასხვა წარმომადგენლებთან მიმართებით. თავისუფლად შეიძლება ითქვას ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომ არსად არ ჩანს ამ გვარის მიმართ უნდობლობის, ან მათი დამცრობის და მათთვის საკათალიკოსოს, ან სამეფოსგან მიწების და სახელოების ჩამორთმევა, პირიქით ყოველი ჭარმაული, რაც არ უნდა ნაკლებად გავლენიანი იყოს, მის მიმართ ორივე იერარქია დიდი ყურადღებით გამოირჩეოდნენ. აქ მოხსენიებული გოგილაანი ქსნის ხეოობაში მდებარეობს და ის სოფელ მიდელაანის ერთ-ერთი განშტოება დასახლებაა (ქენქაძე, 2010: 13). ამით დგინდება ისიც, რომ ჭარმაულთა გვარის წარმომადგენლებს ქსნის ხეობაშიც ჰქონდათ ქონება.

ამ საბუთის გარდა, დავითი 1626 წელს მოწმედაა წარმოდგენილი ლომიტა მირაშვილის და ნონია ტატუაშვილის მიერ დავით გედევანიშვილისათვის მიცემული საწისქვილის და სავენახე მიწების ნასყიდობის წიგნში (დოკუმენტი 2. 1450-47/38; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2015: 334). დოკუმენტს ქორონიკონად ტიდ (314+1312) უზის, რაც 1626 წელს უდრის. ამ ორი დოკუმენტის გარდა სხვაგან არსად არ იხსენიება. საბუთებით, არც ნარატიული წყაროებით არ არის ინფორმაცია, თუ მისი შვილი ვინ იყო, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია პაატა ჭარმაული დავითის მემკვიდრედ, რადგან მის შემდგომ სწორედ ის არის დასახელებული და თან მასზე გაცემულ მხოლოდ ერთ საბუთში გვარით არის მოხსენიებული, რაც საგვარეულო სახლში გვარის უფროსობის მანიშნებელია. გვარის უფროსობასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო და დამაჯერებელი აზრი დასკვნით სახით თავის სამეცნიერო სტატიაში გამოთქმული აქვს ისტორიკოს თ. ჯოჯუას, სადაც აღნიშნავს შემდეგს; ,,გორიჯვრის არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე მიკვლეულ წარწერაში გურზი ლიპარიტიანი გვარით არის მოხსენიებული. ეს გარემოება ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ გურზი, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე, ლიპარიტიანთა საგვარეულოს უფროსი იყო. სხვა შემთხვევაში, იგი ლიპარიტიანის გვარს ვერ მიიღებდა, რადგან შუა საუკუნეების საქართველოში მიღებული ფეოდალური ეტიკეტის თანახმად, გვარის ტარების უფლება მხოლოდ და მხოლოდ ფეოდალური სახლის პირველი პირის პრეროგატივა იყო“. (ჯოჯუა, 2022: 187). სავსებით ვეთანხმებით და მიგვაჩნია რომ, როცა საგვარეულო სახლის უფროსი წარმომადგენელი გარდაიცვლებოდა, შემდეგ შემოდიოდა მის ადგილზე ახალი პირი, რომელსაც გვარით მოიხსენიებდნენ, სწორედ ის უნდა ყოფილიყო წინამძღოლი, უფროსი მანამ, სანამ ის ცოცხალი იქნებოდა. ამ შემთხვევაშიც პაატას გვარით მოხსენიება 1628 წელს სხვა არაფერია, თუ არა ოჯახის უფროსობა. მისი დავითის მემკვიდრედ დასახელებაზე გვაფიქრებინებ ის მამულებიც (ყმები, თავისი კომლებით), რომლებიც მათ ჰქონდათ და ჰყავდათ ისტორიული დოკუმენტების მიხედვით. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ პაატას ნუმერაციით ვანიჭებთ პირველს, რადგან ამავე საუკუნის დასრულებისთვის კიდევ მეორე პაატაა და გენიალოგიური ხაზის დადგენისას განმეორებული სახელების დანომვრა უფრო მისაღებია.

პაატა I და იასე ჭარმაულები 1628 -1644 წწ.

ჭარმაულთა გვარის შემდეგი წარმომადგენელია პაატა, რომელიც მხოლოდ ერთ დოკუმენტში 1628 წელს იხსენიება, იგი უმამულობას უჩიოდა და სწორედ ამ მიზეზით შეიწყალა კათალიკოსმა ზაქარიამ, უწყალობა **გრემისხევში** ორი კომლი კაცი: გრიგოლა ფილაძე და ომსიკა მოწიკავალაური თავიანთი მამულებით (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2015: 335). საკითხის უკეთ და სწორედ წარმოჩენის მიზნით მოგვყავს საბუთი; ,,ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან ზაქარია ესე უკუნისამდინ ჟამთა გასათავებლი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალე[თ] და გიბოძეთ თქუენ **ჭარმაულსა პაატასა** და შენსა შვილსა **იასეს**, შვილთა თქვენთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს მოხვედით და უმამულობასა ჩიოდით. და შეგიწყალეთ **გრემისხევს** ორი კომლი კაცი: **ფილაძე გრიგოლ და მოწიკავალაური ომსიკა** მათის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა; რისაც მამულისა მქონებელნი ყოფილან, უკლებლად მართლის სამართლიანის მზღურითა თქუენთვის გვიბოძებია; არა მოგეშალოს ჩუენგან და არა შემდგომად მომავალთა ჩუენად კათალიკოზთაგან.ამისნი დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა ტივ თუ ვისმე ამ მამულის ნიშანი ჰქონდეს სიგლითა ამით გაგვიცუდებია. ხელრთვა: კათალიკოზი (დოკუმენტი 3. დოლიძე, 1970: 488-489). ამ საბუთის მიხედვით პაატა ჭარმაულის შვილი იასეა, რომელიც დოკუმენტების მიხედვით 1644 წლამდე მოღვაწეობდა. მის შესახებაც მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტია, სადაც ის არის მოხსენიებული. 1630 წელს მოწმედ არის დასახელებული გიორგასა და ხუციას მიერ შერმაზან სუმბულიძისათვის მიცემული თავნასყიდობის წიგნში (დოკუმენტი 4). ამავე საბუთიდან ირკვევა, რომ იასე ჭარმაული კანდელაკთან ერთად სვეტიცხოვლის მეზვრე გიორგამ კათალიკოს საკუთარი ცოლ-შვილის დახსნისთვის ფულის სათხოვნელად მიუგზავნა; ,,ნებითა და შეწევნითა ღთისათა, ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, აღაიანელმა გიორგამ და ხუციამა და მომავალმა სახლისა ჩემისამა თქვენ, სუმბულიძეს - შერმაზანს და ფარემუზს და გიუნას. ასე რომე ქათალიკოზს მემზურეთა ვყუანდით და კახეთს წავედით. და ავი დრო შეიქმნა და ცოლ-შვილი დამიტყვევდა. აღაიანელი მემკვიდრე ვიყავ მოვედით და კათალიკოზს შემოვეხვეწენით, რომ ცოლ-შვილი დამიხსენო, **იესე ჭარმაული** და კანდელაკი მიუგზავნე. და ასე ბრძანა კათალიკოზმა. მე ახალი მოსული და ღარიბი ვარო და საყდრისა არა მაქ[ვ]ს რაო და ვინც დაგიხსნასო, იმასვე ეყმევი. ავდექ და ვალი ავიღე და ცოლ-შვილი დავიხსენ. მანამდი ძმა მივეცი გირაოთ, სანამდი იმის ვალს გარდავწყვეტდი. მოველ და შემოგეხვეწე და ჩემი სამკვიდრო მამული თქვენ გქო[ნ]დათ, ორი კვამლი კაცი გესახლათ ჩემს მამულზე. ავდექ და შემოგეხვეწე: <<მევე მემკვიდრე გირჩევნივარ>>. სულაშვილი შუა შემოვიყვანე, რომ ის კაცები აჰყარო და მევე დამასახლეო. რადგან თქვენი ყმა შევიქენ, პური ორმოთი მამეც სამოცი კოდი, ფეტვი მოსამკალი მოგვეც, ვენაჯი მოსაკრეფი ცხრა საპალნე ტკბილი გამამივიდა. ამ შენის მამულითა ძმაც გამოვიხსენ და შენი საქონელი მოგვეც: ცხრამეტი სული მაკე ცხვარი, ცხრა თოხლი, ორკემელი, ჭედილა ერთი, თხა ცხრა. ესეები ასე მოგვეც და დაგვასახლე და ნასყიდათ დაგრჩით. ამ თქვენის წყალობით ცოლ-შვილიც დავიხსენით და ჩვენც დავრჩით. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი დაუსაბამო და სვეტიცხოველი, კაცთაგან: **ჭარმეული იესე** და სვეტიცხოვლის კანდელაკი და თამაზა სულაშვილი და ერთობლივ აღაიანელნი. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ტიᲩ, დეკემბრის კე. უზის სამი ჯვარი (დოკუმენტი 4. დოლიძე, 1985: 840-841).

აქედან ჩანს, თუ რამდენად მძიმე ვითარება იყო სოციალური კუთხით, რადგან მეზვრე გიორგის არ აღმოაჩნდა იმდენი შესაძლებლობა, თავად დაეხსნა თავისი ცოლ-შვილი და კიდევ უფრო მძიმეა, როცა კათალიკოსი იასე ჭარმაულს და კანდელაკს უარით ისტუმრებს შემდეგი სიტყვებით; ,,მე ახალი მოსული და ღარიბი ვარო და საყდრისა არა მაქ[ვ]ს რაო და ვინც დაგიხსნასო, იმასვე ეყმევი" (დოკუმენტი 4. დოლიძე, 1985: 840-841). საბუთიდან არ ჩანს, თუ რომელი კათალიკოსია, მაგრამ ჩვენი აზრით ეს შეიძლება იყოს ის ცნობილი ევდემონ I დიასამიძე, რომელიც როსტომ I-ის (1632-1658 წწ.) წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა. ასე, იმიტომ ვფიქრობთ, რადგან მისი იერარქობის დრო 1630- 38 წლებს (ლომინაძე, 2012: 49) მოიცავს და თან დოკუმენტში აღნიშნავს კიდეც ახალი მოსული და ღარიბი ვარო. აქვე შეიძლება ვიფიქროთ იასეს სამოხელეო თანამდებობაზე აღაინში, რადგან სვეტიცხოვლის ყმა გიორგა ამბობს ,,აღაიანელი მემკვიდრე ვიყავ" და მისი მხრიდან იასეს კათალიკოსთან შუამავლად მიგზავნა გვაფიქრებინებს, რომ მას აღაიანში შესაძლოა საეკლესიო სამოხელეო თანამდებობა ჰქონოდა, კერძოდ ეს შეიძლება ყოფილიყო მოურავობა. თან აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამავე საუკუნეში 40-იანი წლების შემდგომ ამ გვარიდან ორი პირი აღაიანის მოურავი იყო და ეს თანამდებობა მანამდე შესაძლოა სწორედ იასეს ჰქონიყო. სწორედ ასეთი დასკვნებით ვფიქრობთ, აღაიანელ მეზვრე გიორგას კათალიკოსთან შუამავლობას ვერ გაუწევდა, თუ იგი არ იქნებოდა მის სოფელთან დაკავშირებული, რაიმე საეკლესიო სამოხელეო თანამდებობით, რომლითაც პირდაპირ დავალებული, ვალდებულიც გამოდიოდა მაღალ იერარქიის პირისთვის დახმარება ეთხოვა. იასე ასევე მოწმეა წეროვნელთა მიერ გაბრიელ ელიოზისძისათვის მიცემული სააღაპე წიგნისა - 1644 წელს და ამის შემდეგგ მისი არსებობა დოკუმენტებში აღარ ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, ამავე წელს, ან ახლო ხანებში ის გარდაიცვალა (დოკუმენტი 5. ბერძენიშვილი, 1940: N-37). მისი შვილები არიან პაატა და ონანა, რომლებიც 1675 წელს დომენტი კათალიკოს ზაქარია ჭარმაულთან ქონების გაყოფის მიზნით გაუყრია, რაზეც ქვემოთ ზაქარიას პიროვნების შესახებ მოცემულ ბიოგრაფიულ საკითხების განხილვისას ავღნიშნავთ და განმარტებით დასკვნებს გავაკეთებთ.

აღაიანის მოურავები

იოვანე II ჭარმაული XVII (საუკუნის შუა ხანები) და ზაქარია ჭარმაული

იოვანე ჭარმაული სულ ორ საბუთშია მოხსენიებული მოწმედ; I. **ბერიკა დოლმაზაშვილის მიერ რამაზა [ზუმბულიძისათვის] მიცემული ნასყიდობის წიგნი,** სადაც შემდეგი წერია:

„თქვენ რამაზასა არდაშელს იესეს მე დოლმა[ზა]შვილმა ბერიკამ მოგყიდე **ჭაობში** რაც ოთხის დღისა ბოცველაშვილი მიწასთან ნაეკლოვებში გზის იქამდე და შაშვიაშვილის მიწამდი არს ამისი მოწამე **მოურავი ჭარმაული იოვანე** ოდიშელიძე დათუნა დოლმა[ზა]შვილი ბერიკა შაშვიაშვილი ნადირა და სრულ ერთობილნი აღაიანელნი ჩვენ ქადაგიშვილმან შიოშ ჩვენმა ძმამა პა[ა]ტამა შვილთა (დოკუმენტი 8. დოკუმენტი 9.) ჩვენთა დათუნამა ბერმა და იასე მოგყიდეთ თქუენ რამაზასა შვილთა თქვენთა არდაშელს და იასეს მოგყიდეთ ტატიას ვენახს აქათ ონანასშვილის მიწამდი ქვემოთ თეთამდი და ავიღე სრული ფასი რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა და არიან ამისნი მოწამენი **მოურავი ჭარმეული იოვანე** ოდიშელიძე დათუნა და სულაშვილი თამაზა სრულად ერთობილნი აღაიანელნი და **ქადაგიანელნი"** (დოკუმენტი 9).

საქართველოს ცენტრალურ არქივის 1450 ფონდში დაცული ეს დოკუმენტები პირებია

და მათ არ ახლავთ ქორონოკონი, საიდანაც ზუსტად დადგინდებოდა იოვანეს დრო. პირთა ანოტირებულ ლექსიკონში იოანე XVII საუკუნის შუა ხანებში მოღვაწედ არის მიჩნეული (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2015: 335.), რაც სწორედ მიგვაჩნია. მისი მოღვაწეობა ზუსტად მაშინ უნდა იწყებოდეს, როცა იასე ჭარმაული 1644 წელს სავარაუდოდ გარდაიცვალა და ფეოდალური პრინციპით ოჯახის სახლის უფროსად იოანე გვევლინება, იმ თანამდებობასაც ის იკავებს ამ წესიდან გამომდინარე. 1628-44 წლებში პაატა I-ს და მისი შვილის იასეს შესახებ არსებულ საბუთებში იოანე არ იხსენიება, რაც შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ იასეს მომდევნო ძმაა და მისი მოხსენიება დოკუმენტების სამართლებრივი წერიდან და პიროვნების ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე არ იყო საჭირო მანამ, სანამ 1644 წლამდე იასე ცოცხალი იყო. იოანე სწორედ 1644 წლიდან უნდა იღებდეს სამოხელეო თანამდებობას - აღაიანის მოურაობას ოჯახის უფროსობიდან გამომდინარე. ამრიგად მიგვაჩნია იოანე იყო პაატა ჭარმაულის მეორე შვილი და 1644 წელს იასეს გარდაცვალების შემდეგ სწორედ ის გახდა სახლის უფროსი და არა იასეს რომელიმე შვილი - პაატა, ან ონანა, რადგან მათ უფროს-უმცროსობის პრინციპით ჯერ არ ერგებოდათ. აქვე ყურადღებაა გასამახვილებელი, რომ ზოგჯერ დამწერი, ან გადამწერი ჭარმაულის ნაცვლად ჭარმეულს წერდა, რაც ჩვენს მიერ ერთი და იგივე პრის შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ საბუთებიდანაც ირკვევა.

აღაიანის მოურავობა ჭარმაულთა გვარში ოჯახის უფროსობის პრინციპით და ზოგჯერ მემკვიდრეობითაც გადადიოდა. ამაზე მიუთითებს და ამასვე ამტკიცებს 1739 წელს დომენტი კათალიკოსის, მიერ მიცემული წყალობის წიგნი გაბრიელ ჭარმაულისადმი, სადაც შემდეგი წერია; ამათათითა მეოხებითა და მინდობითა დაფარულმან ძირ-მოდგომობით ტომ-კეთილითა დავითიან, სოლომონიან პანკრატიონთა რტოთაგან აღმოცენებულმან ორისავე ტახტისა საჴელმწიფოსა მპყრობელთა და მქონებელთა შვილმან მეფეთამან კურთხევით მაკურთხეველმან, ქართლისა, კახეთისა, სამცხე-საათაბაგოსა - კათალიკოზ-პატრიარქმან პატრონმან დომენტიმ დავამტკიცეთ სია ესე და სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი და უცვალებელი მტკიცე სიგელი თანა მდგომთა დარბაზის ერთა ჩემთათა; ვიგული-მოდგინეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენის სამსახურის ერთგულად მომდეგს **ჭარმაულს გაბრიელს** და ძმასა შენსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა. ასე რომე: ჩვენი ძმა მეფეთ-მეფე ვახტანგ ერანში ბრძანდებოდა და შენი ძმა **ზურაბ[ი]ც** იქ იქ მათ სამსახურში იყო და თან ახლდათ; მაშინც პირველაც თქვენი სამკვიდრო იყო **აღაიანის მოურაობა,** მისივე წყალობა ექნათ და სამკვიდრო სიგელი ებოძათ (დოკუმენტი 11. დოლიძე, 1970: 747-750). აქედან გამომდინარე კარგად ჩანს, ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი, რომ იყო და ის შეიძლებოდა გადასულიყო ფეოდალური საეკლესიო სისტემიდან გამომდინარე უფროსობით და ასევე მემკვიდრეობითაც. გამოდის, რომ თუ იესეც ნამდვილად იყო აღაიანის მოურავი, შემდეგ მისი გარდაცვალებისას გადავიდა - ძმა იოვანეზე და ამის მერე ზაქარია ჭარმაულზე, რომელიც იოვანეს შვილი უნდა იყოს. ზაქარია იოვანეს ძე, როგორც ჩანს უფროსია პაატა II იესეს ძეზე და ამიტომ ის ხდება შემდეგ ოჯახის უფროსი.

ზაქარია იოვანეს ძე (1656-1690 წწ.) და პაატა იასეს ძე (1671-93...წწ.)

ჭარმაულთა გვარიდან XVII საუკუნეში აღსანიშნავია ზაქარია, რომელიც დოკუმენტებში მოხსენიებიდან გამომდინარე 1656-1690 წლებში მოღვაწეობდა. ის იყო რამოდენიმე საბუთის დამწერი და მოწმე. სარგებლობდა საკათალიკოსო ყმის სტატუსით, რაც გარკვეულწილად დიდი პატივი იყო.

1657 წელს ქრისტეფორე კათალიკოს მისთვის წყალობის წიგნი მიუცია, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: ,,სახელითა: სახიერისა: არსება: დაუსაბამოსა: ღთისა: მამისა: ძისა: და: სულისა: წმინდისათა: პატრონისა: და ცხოველისა: მფარველისა: ჯუარისათა: მინდობირად: შუამდდგომლობითა: ყოვლად: წმინდისა: ყოვლად: უხრწნელისა: და: ყოვლად: ბიწ: შეხებელისა: დიდებულისა: დედოფლისა: ჩუენისა: ღ˜თისა: მშობელისა: და: მარადის: ქალწულისა: მარიამისითა: ოხითა: მე[ო]ხებითა: წმინდისა: და დიდებულისა: წინასწარმეტყუელისა: წინა: მორბედისა: და: ნათლის: მცემლისა: იოვანესითა: და: თანა: მეტომისა: მისისა: მოციქულისა: და: მახარებელისა: ივანე: ღ˜თისა: მეტყველისათა: მინდობით: და: შუა: მდგომლობითა: სვეტისა: ცხოველისა: კვართისა: საუფლოსა: და: მირონსა: ღ˜თ: მყოფელისათა: მინდობითა: და: შუა: მდგომლობითა: წმინდათა: მოციქულთა: წინასწარმეტყუელთა: მღდელთა: მოძღუართა: მოწამეთა: და: ყოველთა: წმიდათა: ღ˜თისათა: ჩუენ: ქრისტეს: ღთისა: მიერ: კურთხეულმან: ყოვლისა: საქართველოისა: დიდმან: მამათ მთავართ: მთავარმან: ქართლის: კათალიკოზმან: პატრონმან: ქრისტეფორე: ესე: უკანისამდე: ჟამთა: გასათავებელი: სამკვიდრო: და: საბოლოვო: წყალობის წიგნი: და სიგელი: შეგიწყალეთ: და: გიბოძეთ: თქვენ: საყდრისა: ჩუენისა: ერთგულსა: და: ნამსახურსა: ყმასა: **ჭარმაულსა: ზაქარიას:** და: შვილთა: და მომავალთა: სახლისა: შენისათა: ასრე: და: ამა: პირსა: ზედა: მოგვიდექით: კარსა: და: მამულის: წყალობას: დაგუაჯენით: ვისმინეთ: აჯა: და: მოხსენება: თქვენი: და: შეგიწყალეთ: და გიბოძეთ: **ბროწლეთს: ორი: კომლი: გლეხი: ქათია: შვილი: საბია: და: მისის: მამულით: და ორი საკომლო: მისის: საჴნავი: და: შესავალი: გასავალი: და: ქვევმარანი: იყოს: მთითა: ბარითა:** და: მისისა: სამართლიანის: სამღთერითა: თქუენ: ჭარმაულის: ზაქარიასთვის გვიბოძებია: აგრეთვე: ჩვენთა: ზედა: **საჴელო: მერიქიფეთ: ხუცესობა:** გიბოძეთ: ესე: ასრე: გაგითავდეს: და: არაოდეს: არ: მოგეშალოს: არა: ჩუენგან: და: არა: შემდგომად: სხვათა: კათალიკოზთაგან: გქონდეს: და: გიბედნიეროს: ღ˜თმან: საყდრისა: და: ჩუენისა: ერთგულად: სამსახურსა: ქვეშე: და: თუ: ვისმე: ამას: წინანდელი: წიგნი: ჰქონდეს: სიგლითა: ამით: გაგვიცუდებია: ვინცა: და: რამანცა: კაცმან: ანუ: დიდმან: და: ანუ: მცირემან: მოგიშალოს: რისხვამცა: მამაძე: და: სული: წმიდა: და: ამა: ზემო: წერილით: წმიდათ: მადლი: და: საყდრისა: ჩვენსამცა: კანონსა: ქვეშე: არს: ხოლო: და: მამტკიცებელნი: ამისნი: ღ˜თმან: აკურთხნეს: არიან ამისნი: მოწამენი: გედეონის: შვილი: ბატონის: გაბრიელ: სახლის უხუცესი პაპუა: და: დეკანოზი: ქაიხოსრო: კანდელაკი: შიო: და: ერთობილნი: მცხეთელნი: დაიწერა: წიგნი: და: სიგელი: ესე: ქკსა **ტმე**. (ახლავს ქრისტეფორე კათალიკოსის ხელრთვა და ოთკუთხა ბეჭედი ჯვრით გამოსახული“ (დოკუმენტი 6). საბუთიდან, როგორც ირკვევა კათალიკოსს უწყალობებია ბროწლეთში (ეს სოფელი ახლა გორის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის ო.ჟ) გლეხი საბია ქათიაშვილი მამულით, ორი საკომლო მიწა სახნავით. ზაქარიამ ასევე ბროწლეთშივე მიიღო სვეტიცხოვლის ყმა-მამული და მერიქიფეთუხუცესობა. უნდა აღინიშნოს, რომ სვეტიცხოვლის ყმა-მამულის ბოძება უმაღლესი სასულიერო პირისგან ერთ-ერთი დიდი პატივზე და მაღალ ნდობაზე მიუთითებდა. მერიქიფეთუხუცესობა კი კათალიკოსის კარზე მაღალი თანამდებობა იყო და ამის მიცემა ზაქარიასადმი, ესეც ნდობის გამოცხადებაზე მეტყველებდა. საერთოდაც კარგად ირკვევა, რომ სასულიერო პირები ჭარმაულთა გვარის გამორჩეულ თავკაცებს დიდად წყალობდნენ და უხვადაც ასაჩუქრებდნენ და როგორც ჩანს ამ მხრივ არც ზაქარია იყო გამონაკლისი, მეტიც ის საკათალიკოსოსთვის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.

1675 წელს დომენტი III კათალიკოს იასე ჭარმაულის შვილები და ზაქარიას გაყრილობის განჩინების წიგნი დაუწერია, სადაც შემდეგს ვკითხულობთ; ,,ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა დიდი მამათმთავარი ქართლის კათალიკოზი

ბატონიშვილი პატრონი დომენტი და ერთობილნი მცხეთელნი გვიახლენ, დავსხედით და **ჭარმ[ა]ული იასეს** შვილები და **ზაქარია** გავყარეთ, სამართლიანის საქმით თავ-თავისი წილი მივეცით.

ზაქარიას თავის წილად ერგო და ჩვენც უბოძეთ: მცხეთის სასახლის ნახევარი; სამკვიდრო **კარსანს სოლომონ შვილი,** რისაც მამულის დღეს მქონებელი იყუნეს; **ფონთხელზედ** რაც მიწები აქვსთ, იმისი ნახევარი; **თელის** მიწის სანაცვლოდ პა[ა]ტასა და ონანას კერძსა ორის დღის მიწა იქივ ფონთხელზედ ზაქარიას მივეცით; ზაქარიას ნაშოვნი ძველი სვეტიცხოვლის ზვარი, ზვრის ბოლოს ხოდაბუნი, ნიგოზათ მიწა ჭაობში, ორის დღის დევანასშვილის ნონიას შვილები, დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ; **ბროწლეთს** ქათიაშვილები ზაქარიას ნაშოვნი ივანა და გიორგი, რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ იმითა, **აღაიანის მოურაობა** - ესე[ე]ბი წილმაც მისცა და ჩვენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ ყოვლის კაცის მოუდევარი და უცილებელი.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და ჩვენისა საყდრისა სამსახურსა შინა. ესე ასრე გაგითავდეს და არა მოგიშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთ სხვათა მეპატრონეთაგან.

არიან ამისნი მოწმენი და შუადამხდურნი: სახლთხუცესი პაპუა გედევანისშვილი გიორგი, ქარსიძე დავით, დეკანოზი ზაქარია, კანდელაკი დავითი, მეღვინეთუხუცესი შიოშ, დეკანოზიშვილი რამაზ, გაბრიელის შვილი თანია და ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრისა რევაზისითა ხელითა. დაიწერა თიბათვეს ხუთსა ქორონიკონსა ტნიგ. ხელრთვა: კათალიკოზი დომენტი (დოკუმენტი 7. დოლიძე, 1972: 136-137).

საბუთიდან, როგორც ირკვევა იასე ჭარმაულის შვილებთან გაყრის შედეგად ზაქარიას რგებია: მცხეთის სასახლის ნახევარი, სამკვიდრო კარსანში, სოლომონიშვილი მამულით, **ფონთხელაზე** საერთო მიწების ნახევარი, თელის მიწის სანაცვლოდ პაატასა და ონანას კუთვნილი ორი დღის მიწა, ვენახის სანაცვლოდ - ერთი დღის მიწა, მისივე ,,ნაშოვნი" სვეტიცხოვლის ზვარი, ზვრის ბოლოს ხოდაბუნი, **ჭაობში**, ნიგოზათ ორი დღის მიწა, ნონია დევანასშვილის შვილები მამულით, **ბროწლეთში** ქათიაშვილები, ზაქარიას ნაშოვნი ივანა და გიორგი მამულებით და **აღაიანის** მოურავობა. საბუთს ახლავს დომენტი კათალიკოსის ხელრთვაც.

ამ საბუთებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზაქარია ჭარმაული ამ მნიშვნელოვანი საგვარეულოდან ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი მოღვაწე იყო. მას, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ ახლო ურთიერობა ჰქონდა საკათალიკოსო კართან და მწყემსმთავარებთან. მის მიმართ კათალიკოს ქრისტეფორეს მიერ კარის მერიქიფეთუხუცესის თანამდებობის მინიჭებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ეს საკმაოდ დიდი თანამდებობაა მცხეთის საკათალიკოსოში და ეს უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ ჭარმაულთა გვარი ,,მცხეთისშვილები" იყვნენ, რითიც საკათალიკოსოს ემსახურებოდნენ.

ზაქარია განსაკუთრებით კი, დიდი ნდობით და პატივით სარგებლობდა დომენტი III კათალიკოსისაგან, რომელიც ამ საბუთიდან გამომდინარე დიდად წყალობდა. სწორედ ამ კათალიკოს უწყალობებია აღაიანის მოურავობა, რაც საერო თანამდებობაა და მას, ამ შემთხვევაში მწყემსმთავარი გასცემს. ამ თანამდებობით ზაქარია კონკრეტული ადგილის ბატონ-პატრონი, გამრიგე და უშუალოდ ადგილობრივი წვრილმანი საკითხების მომწესრიგებელიც კი უნდა ყოფილიყო საეკლესიო საქმიანობის კუთხით და არა მარტო.

ზაქარია საბუთებში 1656 წლიდან 1690 წლამდე იხსენიება, ხოლო პაატა II იესეს ძე ჭარმაული 1671 წლიდან 1693 წლამდე ჩანს პირთა ანოტირებულ ლექსიკონში მასზე

მიკუთვნებულ დოკუმენტებში. ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ პაატა უნდა გამხდარიყო სახლის უფროსი და შემდეგ ის გააგრძელებდა მთელ იმ საქმიანობას, რაც ვალდებულებიდან გამომდინარე მოეთხოვებოდა. პაატაც ძირითადად ისევე, როგორც ზაქარია, მოწმეა სხვადასხვა პირების საბუთების და ამავე დროს სტატუსით სვეტიცხოვლის ყმაც იყო (დოკუმენტი 10). ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, მას 1693 წელს ნიკოლოზ კათალიკოსმა წეროვანში სასაფლაოდ კარის ეკლესია უწყალობა; ,,ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა მკურთხეველმან კათალიკოზმან ამილახორის ძემან პატრონმან ნიკოლოზ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი გიბოძეთ, შენ, სუეტიცხოველსა და ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა **ჭარმეულს პაატასა,** შვილთა და მომავალთა სახლისა შენისა ყოველთავე. მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და სასაფლაოს წყალობასა გვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი: გიბოძეთ **წეროვანს ჩვენი კარის ეკლესია** სამკვიდროდ და საბოლოოდ გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სუეტის ცხოველისა და ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. ესე ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად ჩვენსა სხვათა კათალიკოზთაგან. ვინცა წყალობა ესე ჩვენი მოგიშალოს, ცოდვათა ჩვენთათვისმცა იგი განიკითხვის. დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს. არიან მოწმენი და დამხდომნი ამისნი: სახლთუხუცესი ადამ გედევანიშვილი, როსებ მაღალაშვილი, ივანე დეკანოზიშვილი, არდაშელი და სრულ ერთობილნი მცხეთიშვილნი. მათის ნება დართვითა მე, მგალობელთ-უხუცეს იორამს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ტპა. ხელრთვა კათალიკოზი (დოკუმენტი 10. დოლიძე, 1970: 602). კარის ეკლესიის სასაფლაოდ მიცემაც მიუთითებს იმაზე, რომ პაატა სწორედ მაშინ ღებულობს, როცა ზაქარია აღარაა ცოცხალი და სახლის უფროსი უკვე თვითონაა.

XVII საუკუნეში მოღვაწე ჭარმაულების გენიალოგიურ მემკვიდრეობით ხაზი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად; დავით ჭარმაული (1602-1622 წწ.) შვილი პაატა I (1622-1628 წწ.) - შვილები იასე (1628-1644 წწ.) და იოვანე (1644-1657/75 წწ.) იოვანეს - შვილი ზაქარია (1657-1690 წწ.) და იასეს შვილი პაატა II (1671-1693... წწ.).



დასკვნის სახით კი აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული დოკუმენტების, წყაროების და სამეცნიერო ლიტერატირის საფუძველზე დავადგინეთ XVII საუკუნეში მოღვაწე ჭარმაულთა სახლის წარმომადგენელთა მემკვიდრეობითი (გენიალოგიური) ხაზი, გვარში უფროსობის განსაზღვრის პრინციპი და ასევე თანამდებობრივ-ქონებრივი გადაცემის მემკვიდრეობითი წესი, რაც ფეოდალურ საქართველოში იმ დროის ნორმებით განისაზღვრებოდა.

დამოწმებული დოკუმენტები, წყაროები და ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური არქივი. ფონდი, 1449-2078 -ბ. 1610 წელი. წყალობის სიგელი მიცემული კათალიკოს დომენტის მიერ დავით ჭარმაულისათვის.

საქართველოს ცენტრალური არქივი. ფონდი, 1450-47/38, 1626 წელი. ლომიტა მირაშვილის და ნონია ტატუაშვილის მიერ დავით გედევანიშვილისათვის მიცემული საწისქვილის და სავენახე მიწების ნასყიდობის წიგნი.

საქართველოს ცენტრალური არქივი. ფონდი, 1450-2/175, 1628 წელი. წყალობის წიგნი მიცემული მიცემული ზაქარია კათალიკოსისა პაატა ჭარმაულისადმი.

საქართველოს ცენტრალური არქივი. ფონდი,1448- 1060, 1630 წელი. 25 დეკემბერი. ყმობის წიგნი აღაინელი გიორგისი და ხუციასი სუმბულიძეებისადმი.

საქართველოს ცენტრალური არქივი. ფონდი, 1448- 5102, 1644 წელი. წეროვნელთა მიერ გაბრიელ ელიოზისძისათვის მიცემული სააღაპე წიგნი.

კ. კეკელიძის ხელნაწრთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, Qd-31, 1657 წელი. ქრისტეფორე კათალიკოსის წყალობის წიგნი, მიცემული ზაქარია ჭარმაულისადმი. *საქართველოს ცენტრალური არქივი.* ფონდი -1450 - 2-177, 1675 წელი 5 ივნისი. განჩინება დომენტი III -ისა იასე ჭარმაულის შვილებისა და ზაქარიას გაყრის საქმეზე. *საქართველოს ცენტრალური არქივი.* ფონდი, 1450- 31/106-1, XVII ს-ის შუა ხანები. ბერიკა დოლმაზაშვილის მიერ რამაზა [ზუმბულიძისათვის] მიცემული ნასყიდობის წიგნი. *საქართველოს ცენტრალური არქივი.* ფონდი, 1450- 31/106-2, XVII საუკუნის შუა ხანები. შიოშ [მაღალაძის] მიერ რამაზა [ზუმბულიძისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნი.

საქართველოს ცენტრალური არქივი. ფონდი -1449-2685 - ი, 1693 წელი. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა პაატა ჭარმაულისადმი].

კ. კეკელიძის ხელნაწრთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, Ad-506, 1739 წელი. წყალობის სიგელი დომენტი კათალიკოზისა გაბრიელ ჭარმაულისადმი.

ბერძენიშვილი, ნ. (1940). *საქართველოს სოციალურ ისტორიასთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტების კრებული,* შედგენილი და გამოცემული, ტ. I.

დოლიძე, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები,* ტ.III, თბილისი: ,,მეცნიერება“.

დოლიძე, ი. (1972). *ქართული სამართლის ძეგლები,* ტ.IV, თბილისი: ,,მეცნიერება".

ბატონიშვილი ვახუშტი, (1973). აღწერა სამეფოისა საქართველოისა, *,,ქართლის ცხოვრება",* ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო".

დოლიძე, ი. (1985). *ქართული სამართლის ძეგლები,* ტ. VIII, მეცნიერება. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა* (1897). შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი, თ. ჟორდანიას მიერ. წ. 2, ტფილისი.

ქენქაძე, ვ. (2010). *ქსნური ხალხური ფაბლიო (იცინინიან ქარჩოხელები),* თბილისი.

ლომინაძე, ბ. (2012). *ენციკლოპედია ,,საქართველო"* ტ. 2. თბილისი გვ.49

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, (2015). მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მომზადეს დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მ. სურგულაძემ, ტ. V, თბილისი. ,,ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი".

ჯოჯუა, თ. (2022). *ახშნის გორიჯვრის წმ. გიორგის მონასტრის XVI საუკუნის ახლად მიკვლეული წარწერა გურზი ლიპარიტიანის მიერ სატრაპეზოსა და გალავნის აღშენების შესახებ (ლიპარიტიანთა ფეოდალური სახლის, ახშნის გორიჯვრის მონასტრისა და გორიჯვრის საკურთხევლის წინა ჯვრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი,* კრებ., ქართული წყაროთმცოდნეობა XXIV, თბილისი: ,,უნივერსალი".

ჟიჟიაშვილი, ო. (2023). *ჭარმაულთა გვარის მოკლე მიმოხილვა და დავით VIII-ის (1293-1311 წწ.), მიერ გრიგოლ ჭარმაულისთვის ნაწყალობევი სოფელი ლაუშა.* სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ,,ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია" – N-9.

REFERENCES

sakartvelos tsent'raluri arkivi. pondi, 1449-2078 -b. 1610 ts'eli. ts'qalobis sigeli mitsemuli k'atalik'os dokument'is mier davit ch'armaulisatvis.

sakartvelos tsent'raluri arkivi. pondi, 1450-47/38, 1626 ts'eli. lomit'a mirashvilis da nonia t'at'uashvilis mier davit gedevanishvilisatvis mitsemuli sats'iskvilis da savenakhe mits'ebis nasqidobis ts'igni.

sakartvelos tsent'raluri arkivi. pondi, 1450-2/175, 1628 ts'eli. ts'qalobis ts'igni mitsemuli mitsemuli zakaria k'atalik'osisa p'aat'a ch'armaulisadmi.

sakartvelos tsent'raluri arkivi. pondi,1448- 1060, 1630 ts'eli. 25 dek'emberi. qmobis ts'igni aghaineli giorgisi da khutsiasi sumbulidzeebisadmi.

sakartvelos tsent'raluri arkivi. pondi, 1448- 5102, 1644 ts'eli. ts'erovnelta mier gabriel eliozisdzisatvis mitsemuli saaghap'e ts'igni.

k'. k'ek'elidzis khelnats'rta erovnuli tsent'ri, pondi, Qd-31, 1657 ts'eli. krist'epore k'atalik'osis ts'qalobis ts'igni, mitsemuli zakaria ch'armaulisadmi. sakartvelos tsent'raluri arkivi. pondi -1450 - 2-177, 1675 ts'eli 5 ivnisi. ganchineba dokument'i III -isa iase ch'armaulis shvilebisa da zakarias gaqris sakmeze. sakartvelos tsent'raluri arkivi. pondi, 1450- 31/106-1, XVII s-is shua khanebi. berik'a dolmazashvilis mier ramaza [zumbulidzisatvis] mitsemuli nasqidobis ts'igni. sakartvelos tsent'raluri arkivi. pondi, 1450- 31/106-2, XVII sauk'unis shua khanebi. shiosh [maghaladzis] mier ramaza [zumbulidzisatvis] mitsemuli mits'is nasqidobis ts'igni.

sakartvelos tsent'raluri arkivi. pondi -1449-2685 - i, 1693 ts'eli. [ts'qalobis ts'igni nik'oloz k'atalik'ozisa p'aat'a ch'armaulisadmi].

k'. k'ek'elidzis khelnats'rta erovnuli tsent'ri, pondi, Ad-506, 1739 ts'eli. ts'qalobis sigeli dokument'i k'atalik'ozisa gabriel ch'armaulisadmi.

berdzenishvili, n. (1940). sakartvelos sotsialur ist'oriastan dak'avshirebuli ist'oriuli dok'ument'ebis k'rebuli, shedgenili da gamotsemuli, t'. I.

dolidze, i. (1970). kartuli samartlis dzeglebi, t'.III, tbilisi: ,,metsniereba“.

dolidze, i. (1972). kartuli samartlis dzeglebi, t'.IV, tbilisi: ,,metsniereba“.

bat'onishvili vakhusht'i, (1973). aghts'era samepoisa sakartveloisa, ,,kartlis tskhovreba“, t'ekst'i dadgenilia qvela khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier, tbilisi: gamomtsemloba ,,sabch'ota sakartvelo“.

dolidze, i. (1985). kartuli samartlis dzeglebi, t'. VIII, metsniereba. kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa (1897). shek'rebili kronologiurad dats'qobili da akhsnili, t. zhordanias mier. ts'. 2, t'pilisi.

kenkadze, v. (2010). ksnuri khalkhuri pablio (itsininian karchokhelebi), tbilisi.

lominadze, b. (2012). entsik'lop'edia ,,sakartvelo“ t'. 2. tbilisi gv.49

p'irta anot'irebuli leksik'oni, (2015). masalebi shek'ribes da gamosatsemad momzades d. k'ldiashvilma, n. mshvidobadzem, g. mch'edlidzem, m. surguladzem, t'omi sheadgina da redaktsia gauk'eta m. surguladzem, t'. V, tbilisi. ,,khelnats'erta erovnuli tsent'ri“.

jojua, t. (2022). akhshnis gorijvris ts'm. giorgis monast'ris XVI sauk'unis akhlad mik'vleuli ts'arts'era gurzi lip'arit'ianis mier sat'rap'ezosa da galavnis aghshenebis shesakheb (lip'arit'ianta

peodaluri sakhlis, akhshnis gorijvris monast'risa da gorijvris sak'urtkhevlis ts'ina jvris ist'oriis zogierti sak'itkhi, k'reb., kartuli ts'qarotmtsodneoba XXIV, tbilisi: ,,universali".

zhizhiashvili, o. (2023). ch'armaulta gvaris mok'le mimokhilva da davit VIII-is (1293-1311 ts'ts'.), mier grigol ch'armaulistvis nats'qalobevi sopeli lausha. ssip' goris sakhelmts'ipo sasts'avlo universit'et'is saertashoriso sametsniero reperirebad reit'ingul zhurnali ,,ist'oria, arkeologia, etnologia" – N-9.